დამტკიცებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანებით

დანართი

„ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაცია “

(ორგანიზაციული კოდი 06 07 06)

ქ. თბილისი 2017 წელი

მთავარი საინფორმაციო გვერდი

ქვეპროგრამის დასახელება

„ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაცია“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის საერთო ბიუჯეტი	სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა	სხვა წყაროებიდან თანადაფინანსება
20 140 ლარი	20 140 ლარი	

ქვეპროგრამის განხორციელების ადგილი/მისამართი

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო
უზნაძის №68

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფები

შემოქმედებითი კოლექტივები, ინდივიდუალური შემსრულებლები და კულტურის სფეროში მოღვაწე, განსაკუთრებული მიღწევების მქონე, ნიჭიერი და წარმატებული ადამიანები.

ქვეპროგრამის რეზიუმე

ქვეპროგრამა მიზნად ისახავს აფხაზეთის კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების პოპულარიზაციას. საქართველოს და საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე აფხაზეთის კულტურის და კულტურული მემკვიდრეობის წარდგენას, როგორც ერთიანი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნაწილისა. ასევე ხელოვანების, შემოქმედებითი კოლექტივებისა და კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკური პირების ფინანსურ მხარდაჭერას, მათი კონკურსებში, ფესტივალებში, კულტურის დღეებში და ფორუმებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

დაფინანსების თაობაზე პროექტის (განაცხადის) წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს. შემოსულ განაცხადს სპეციალური კომისია განიხილავს.

ქვეპროგრამის დეტალური განხილვა

1. პრობლემის აღწერა

ქართული კულტურის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს აფხაზეთის კულტურასა და კულტურულ მემკვიდრეობას; სამწუხაროდ, საზოგადოების ნაწილისათვის აფხაზეთი მხოლოდ კონფლიქტებთან ასოცირდება და ბევრისთვის უცნობია დევნილი ხელოვანების მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედება. მიუხედავად ამისა, აფხაზეთის შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები ამჟამადაც ნაყოფიერად და წარმატებით საქმიანობენ როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ისინი აფხაზეთის კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და კულტურული ტრადიციების გაგრძელებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ. აფხაზეთიდან დევნილმა ხელოვანებმა საზღვარგარეთ სხვადასხვა ფესტივალებში, კონკურსებსა თუ გამოფენებში არაერთხელ წარმოაჩინეს ქართულ-აფხაზური შემოქმედება. მიუხედავად ამისა, აფხაზეთის კულტურა და მისი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა მაინც ნაკლებადაა ცნობილი.

2. ქვეპროგრამის მიზნები და დასაბუთება

ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქართულ-აფხაზური კულტურისა და მისი კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენასა და პოპულარიზაციას, მის განვითარებას. საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახოს, რომ აფხაზეთის ხელოვნება და კულტურა ერთიანი ქართული კულტურული სივრცის განუყოფელი ნაწილია.

3. მოსალოდნელი რისკები

- ქვეპროგრამის არაეფექტური დაგეგმვა;
- განსახორციელებელი პროექტისადმი სამიზნე ჯგუფის მიერ ინტერესის არქონა;
- ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ვალდებულებების არადროული/არასწორი განსაზღვრა.
- განაცხადების არ წარმოდგენა.

4. ქვეპროგრამის შემსრულებელი სამინისტროში და პარტნიორი

- ხელოვნებისა და მიმდინარე ღონისძიებების სამსახური;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო;
- მინისტრის აპარატი;
- საბიუჯეტო-საფინანსო, შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური

5. ქვეპროგრამის ღონისძიებები (დეტალურად)

- პროგრამის შესახებ ინფორმაციის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსება;

- სამინისტროში სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც განიხილავს შემოსულ განაცხადებს და დაფინანსებისათვის შეარჩევს;
- შემოსული განაცხადების რეგისტრაცია;
- კომისიის გადაწყვეტილებით თანადაფინანსება გაეწევათ:

ა) შემოქმედებით კოლექტივებსა და ფიზიკურ პირებს, რომლებიც ეფექტურად წარმოაჩენენ აფხაზეთის კულტურასა და კულტურულ მემკვიდრეობას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

ბ) ხელოვანებს, რომლებიც აფხაზეთის თემაზე შექმნილი ნაწარმოებებით პოპულარიზაციას გაუწევენ აფხაზეთის კულტურასა და მის კულტურულ მემკვიდრეობას.

გ) თანადაფინანსება გულისხმობს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ხარჯების ანაზღაურებას, რაც ფიზიკური პირების შემთხვევაში წარმოადგენს მაქსიმუმ 2000 (ორი ათასი) ლარს, ხოლო შემოქმედებითი კოლექტივებისა და ორგანიზაციების შემთხვევაში შეუზღუდავია, ქვეპროგრამით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

გ) აპლიკანტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მოწვევა (ქართულ ენაზე თარგმნილი და მთარგმნელის ბეჭდით დამოწმებული), რომელიც ნამდვილად ადასტურებს პირის მიწვევას საზღვარგარეთ, ასევე დაფინანსების მიღებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია

დ) საპროექტო განაცხადი უნდა შეივსოს დანართი N1-ის შესაბამისად.

6. დამატებითი მოთხოვნები

დაფინანსებული ფიზიკური/იურიდიული პირი ვალდებულია დამფინანსემბლის მოთხოვნის შესაბამისად წარმოადგინოს დაფინანსების მიღებასთან დაკავშირებული ფინანსური დოკუმენტაცია.

ღონისძიებათა კალენდარული განრიგი													
	ღონისძიების დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII

1	კომისიის შექმნა												
2	განაცხადების რეგისტრაცია												
3	განაცხადების განხილვა კომისიის მიერ												
4	დაფინანსება												

7. მოსალოდნელი შედეგები

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზური კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენასა და პოპულარიზაციას. გარდა ამისა, ხელოვანებს, კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკურ პირებს და შემოქმედებით კოლექტივებს საშუალება მიეცემათ განახორციელონ საკონცერტო-საგასტროლო საქმიანობა საქართველოს ფარგლებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

8. ქვეპროგრამის სიცოცხლისუნარიანობა

ქვეპროგრამის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე შესაძლებელია მისი ყოველწლიური გაგრძელება.

9. მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები

ფინანსური ანგარიშის გარდა წარმოსადგენია:

1. ფოტო და ვიდეო მასალა;
2. მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატი ან წერილი;
3. მედიაში/პრესაში გავრცელებული ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში)

ქვეპროგრამის კოორდინატორები:

კახაბერ ძაძამია, გიორგი ფარცვანია, ლიანა ხურცილავა, ია მოწაფია, ეკატერინე გადილია.

დეტალური ბიუჯეტის ნიმუში (ყველა თანხა მითითებული უნდა იყოს ლარებში)				
ბიუჯეტის მუხლი	**საცალო ღირებულება**	**რაოდენობა**	**სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა**	**თითოეული მუხლის დასაბუთება**
სამგზავრო სამივლინებო და სხვა ხარჯები			**20 140**	I – IV კვარტალი
საერთო			**20 140**	

დანართი №1

საქართველო, თბილისი, 0102, დ. უზნაძის №68

თარიღი: _____ 2017 წ.

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო

განაცხადის ფორმა

(პროექტის სახელწოდება)

1. ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ

ორგანიზაციის დასახელება / ფიზიკური პირის სახელი, გვარი

საიდენტიფიკაციო კოდი / პირადი ნომერი:

ფაქტიური მისამართი (ქალაქი/ქუჩა №/საფოსტო ინდექსი):

ტელეფონის ნომერი

ვებ-გვერდი:	ელ.ფოსტა:

თქვენი ორგანიზაციის (ფიზიკური პირის შემთხვევაში თქვენი) გამოცდილებისა და ძირითადი საქმიანობის მოკლე აღწერა.

2. პროექტის საკონტაქტო პირი (ორგანიზაციის წარმომადგენელი)

სახელი:	გვარი:

საკონტაქტო ტელეფონი:	E-mail:

3. პროექტის პარტნიორი

პარტნიორი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი :

მისამართი (ქალაქი/ქუჩა №/საფოსტო ინდექსი):

ტელეფონის ნომერი

ვებ-გვერდი:	ელ.ფოსტა:

*1 პარტნიორზე მეტის არსებობის შემთხვევაში დაამატეთ ანალოგიური გრაფა.

4. ინფორმაცია პროექტის შესახებ

პრობლემის არსი:

განმარტება: აღწერეთ პრობლემები, რომლის გადაჭრასაც ემსახურება თქვენი პროექტი და დაასაბუთეთ პროექტის საჭიროება.

პროექტის მიზანი:

პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

განმარტება: აღწერეთ პროექტის მოსალოდნელი კონკრეტული შედეგები. დაასაბუთეთ, რა დადებით გავლენას იქონიებს პროექტი, განიხილეთ ყველა მოსალოდნელი შედეგი.

პროექტის შეფასების კრიტერიუმები:

განმარტება: რა კრიტერიუმებით შეფასდება პროექტის მიზნის მიღწევა (მაგ: ღონისძიების შემთხვევაში დამსწრეთა რაოდენობა, გამოხმაურება მედიაში, დასაქმებულ ხელოვანთა რაოდენობა და ა.შ.)

პროექტის ეტაპები :

ეტაპის დასახელება	შემსრულებელი	ვადები	ადგილი
• ..... • ..... •			

განმარტება: პროექტის ფარგლებში ქმედებების დროში გაწერილი დეტალური აღწერა.

დამატებითი ინფორმაცია:

განმარტება: აღწერეთ, თუ რა გავლენას მოახდენს პროექტი ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაციაზე

5. ხარჯთაღრიცხვა (ნიმუში)

#	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)	სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა	თვითდაფინანსება	დაფინანსება სხვა წყაროდან
1.							
1.1							

*პროექტის ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იყოს ლარებში.

პროექტის მთლიანი ბიუჯეტი:	**სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა:**

თვითდაფინანსება:	დაფინანსება სხვა წყაროდან:

პროექტის დაწყების თარიღი:	პროექტის დასრულების თარიღი:

აპლიკანტის ხელმოწერა

შენიშვნა:

*) განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ღონისძიების დაწყებამდე არაუგვიანეს 40 (ორმოცი) სამუშაო დღით ადრე.

**) განაცხადის განხილვის პროცესში, სამინისტრო იტოვებს დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნის უფლებას.

***) სამინისტრო არ ანაზღაურებს ხელშეკრულების გაფორმებამდე გაწეულ ხარჯებს.

****) განაცხადი წარმოადგინეთ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროში, ქ. თბილისი, 0102, დ. უზნაძის №68

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელ: 2 95 07 52